

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
კვლევის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

№ 30

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ანზორ ერქომაიშვილის გახსენება

*ქართველი ეთნომუსიკოლოგები*

თამარ მესხი

„ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი“

*ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები*

ანსამბლი „ჩელა“ დიდი ბრიტანეთიდან

*ერთი ახალი გამოცემა*

„სვანური ხალხური შემოქმედება“

სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია

„ქალი, ტრადიცია, მუსიკა“

*ერთი ეთნოგრაფიული ანსამბლი*

ანსამბლი „შემოქმედი“ გურიიდან

*ქართული სიმღერის მოამაგეები*

ნოკო ხურცია

*წერილები არქივიდან*

ქართული გალობის მდგომარეობა (ნაწილი I)

*ერთი ხალხური საკრავი*

თარი

*ერთი ტრადიციული დღესასწაული*

გიორგობის დღესასწაული საქართველოში და მასთან დაკავშირებული მუსიკა

სვანური სიმღერა „ჯგრაგ“

თბილისი, ივნისი, 2021

## საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

(იანვარი-ივნისი, 2021)

### *ფესტივალები, კონფერენციები, კონკურსები*

**08.03.2021** - საქართველოს ქალთა საბჭოსა და ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის ორგანიზებით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ქალი, ტრადიცია, მუსიკა“ ონლაინ ფორმატში.

**31.05.2021** - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უნივერსიტეტში გაიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქრისტიანული თეოლოგიისა და მუსიკოლოგიის საკითხები“, რომელიც გამოჩენილი ქართველი მუსიკისმცოდნის, მანანა ანდრიაძის ხსოვნას მიეძღვნა.

**12.06.2021** - ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტმა, თეონა ლომსაძემ მოხსენებით „კრიმაჭული: იოდის ფენომენი ქართულ ტრადიციულ პოლიფონიურ მუსიკალურ სტრუქტურაში“ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო მუსიკის ანალიტიკური კვლევის VI საერთაშორისო კონფერენციაში.

**12-20.06.2021** - ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის პირველი საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები „ერსიონი“, „რუსთავი“, „ბასიანი“ და „შავნაბადა“.

**14.06.2021** - ეროვნული ქორეოგრაფიის ცენტრმა NCC „GE ART“ გამართა ეკატერინე გელიაშვილის ვებინარი ქორეოგრაფიულ სადადგმო ხელოვნებაში თემაზე: „ცეკვის ნახაზი და მისი აგების ხერხები“.

**24.06.2021** - თელავში ქართული ტრადიციული მუსიკის ფესტივალი „მშობლიური ხმები“ გაიმართა.

**25-27.06.2021** - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“ გაიმართა.

**25-26.06.2021** - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ეროვნული ცეკვების ფედერაციამ ჩაატარა ტრადიციული სტუდენტური ქორეოგრაფიული ფორუმ-ფესტივალი „ტერფსიქორე 2021“ ონლაინ ფორმატში.

### *ლექციები, შეხვედრები, დაჯილდოება, მასტერკლასები, პრეზენტაციები და სხვ.*

**7.01.2021-28.02.2021** - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით განხორციელდა პროექტი საოჯახო ანსამბლების პოპულარიზების მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ურუმბეების, გორდელაძეების, თურქიების, ფილფანების, ვეშაპიძეების, გერსამიების, სხიერლების, ბიძინაშვილების, ტიკარაძეების, მელაძეების, ნაყურების, ბერელიძეების, გორელიშვილების, კაჭარაძეების, კვირიკაშვილების ოჯახებმა.

**13.01.2021** - საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაწყვეტილებით, ანსამბლ „ერსიონი“ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ჯილდო, „ქართული სცენის დესპანი“ მიენიჭა.

**10.03.2021** - ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ემერიტუსს, რუსუდან წურწუმიას ქართული მრავალხმიანი მუსიკის კვლევაში, საზღვარგარეთ ქართული მრავალხმიანი მუსიკისა და მსოფლიო მრავალხმიანი მუსიკის რუკაზე საქართველოს პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული პირადი წვლილისათვის თამარ მეფის ორდენი გადაეცა.

**17.03.2021** - თელავის წმ. ძმები კარბელაშვილების სახელობის სკოლაში გაიმართა წიგნის „სვანური ხალხური შემოქმედება“ წარდგენა.

**24.03.2021** - ანსამბლ „იალონისა“ და კონგრესის ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტის ონლაინ კონცერტის „მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე“ პრეზენტაცია გაიმართა.

**25.03.2021** - ZOOM-ის ონლაინ პლატფორმაზე გაიმართა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, თამაზ გაბისონიას საჯარო ლექცია თემაზე „პროფესია ეთნომუსიკოლოგი“.

**25.03.2021** - ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის პროექტი იუნესკოს საერთაშორისო კონკურსის 2020-2021 წლის „მონაწილეობის პროგრამის“ ქართველი გამარჯვებული გახდა. პროექტის ფარგლებში მომზადდება და გამოიცემა ორენოვანი სტატიების კრებული „ქალთა როლი იუნესკოს მიერ აღიარებულ ევროპულ ტრადიციულ სასიმღერო პრაქტიკებში“.

**4.04.2021** - საქართველოს სტუდენტური პარლამენტის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ შეხვედრა თემაზე „ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი“. შეხვედრას უძღვებოდა საეკლესიო მუსიკის მაგისტრი, ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი დავით ცინცაძე.

**13.04.2021** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ZOOM-ის ონლაინ პლატფორმაზე გაიმართა ეთნომუსიკოლოგ ქეთევან ბაიშვილის საჯარო ლექცია „მუსიკალური იდენტობა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში“.

**15.04.2021** - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლეს სასწავლებელში ონლაინ პრეზენტაცია გაიმართა პროექტისა „ექსპედიცია ხადის ხეობაში“.

**14.05.2021** - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა.

**30.05.2021**- ანსამბლმა „სახიობამ“ გამართა შეხვედრა საგარეჯოს რაიონის სოფელ უდაბნოს მოსახლეობასთან და ჩაატარა ერთობლივი კონცერტი ანსამბლ „კასლეთილასთან“ ერთად.

**31.05.2021** - ქართულ ტრადიციულ საეკლესიო მუსიკას - ქართულ გალობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

**31.05.2021** - ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა შვედეთის ქართულ სათვისტომოსთან ონლაინ შეხვედრა გამართეს.

**15.06.2021** - საქართველოს მწერალთა სახლში ფონდ „ქართული გალობის“ გამოცემის - „მარო თარხნიშვილი 130“ პრეზენტაცია გაიმართა.

**16.06.2021** - ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზში სამუელ ჩავ-

ლეიშვილის, ვარლამ სიმონიშვილის, ვანო სარაჯიშვილის, მიხეილ კაცსაძის, აპოლონ ცამციშვილისა და ვანო მჭედლიშვილის უნიკალური ჩანაწერების (6 აუდიოალბომი) პრეზენტაცია გაიმართა.

**29.05.2021** - რუსთავეში ანსამბლ „თუთარჩელას“ მასტერკლასი გაიმართა.

**17.06.2021** - ანსამბლი „ბასიანი“ საქართველოს პრეზიდენტის სახელით რომში ქართული კულტურისა და მრავალხმიანი ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზების მიზნით გამართულ მიღებაში მონაწილეობდა.

**24.06.2021** - ანჩისხატის ტაძრის ეზოში საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო-კვლევითი ცენტრის მიერ ბოლო წლებში გამოცემული წიგნების პრეზენტაცია გაიმართა.

**25.06.2021** - თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა თეონა ლომსაძის სადოქტორო დისერტაციის „ქართული ხალხური მუსიკის ფუნქციონირების თანამედროვე ფორმები (ფოლკ-ფიუჟენის მაგალითზე)“ დაცვა.

### *ექსპედიციები*

**9-12.02.2021** - ანსამბლ „იალონის“ წევრებმა ფოლკლორული ექსპედიცია მოაწყვეს ზემო აჭარაში, შუახევის მუნიციპალიტეტში (ხელმძღვანელი: ნინო ნაწიშვილი).

**13.02-8.05.2021** - გალობის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ნინო ნაყურმა ოთხი ექსპედიცია მოაწყო: ფშავის სოფელ მაღაროსკარში, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მისაქციელში და ფშავის სოფელ გომეწარში.

**6.05-30.05** - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის თანამშრომელი, ეთნომუსიკოლოგი მაია გელაშვილი ექსპედიციით იმყოფებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

**7-14.06.2021** - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომლები ექსპედიციით იმყოფებოდნენ გურიის მხარის სოფლებში: ლიხაური, ჯურუყვეთი, ძიმითი, ზომლეთი, სურები, ჩოჩხათი, ნაღობილვეი.

**11.05.2021** - ეთნომუსიკოლოგი გიორგი კრავეიშვილი ექსპედიციაში იმყოფებოდა სოფელ სარფში.

**კონცერტები, საღამოები, პროექტები, გამოფენები, იუბილეები...**

**13.01.2021** - „არტოს ბაღში“, თბილისის მერიის ინიციატივით, პანდემიით დაზარალებული მომღერლებისა და მოცეკვავეების მხარდასაჭერი კონცერტი გაიმართა.

**8.03.2021** - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის ინიციატივითა და ოზურგეთის მერიის მხარდაჭერით ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში სარვამართო ღონისძიება გაიმართა, რომელიც „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ წევრ ქალბატონებს მიემძვნა.

**11.03.2021** - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სალოტბარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა.

**14.03.2021** - ანსამბლმა „სამება“ X საიუბილეო ონლაინ სოლო კონცერტი გამართა.

**19.03.2021** - თბილისის საკრებულოში ანსამბლ „ერისიონის“ 135 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო მიღება გაიმართა.

ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის ორგანიზებით, პროექტ „მომღერალი საქართველოს“ ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივი ტრადიციული მუსიკის საღამოები გაიმართა, კერძოდ:

**26.02.2021** - კახური ხალხური მუსიკის საღამო მეღვინეობა „შილდაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „შილდამ“;

**28.03.2021** - გურული ხალხური მუსიკის საღამო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „ამაღლებამ“ და „გურიამ“;

**27.04.2021** - რაჭული ხალხური მუსიკის საღამო ონის მუნიციპალიტეტში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „რაჭამ“;

**27.06.2021** - აჭარული ხალხური მუსიკის საღამო ქედის კულტურის ცენტრში, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები: „ელესა“, „ი-გუნდი“ და „მოყვარე“.

**25.04.2021** - საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის ორგანიზებით „არტ ჰოლში“ ომარ მხეიძის 85 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა.

**25.04.2021** - ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ოზურგეთის სალოტბარო სკოლის მოსწავლეების ონლაინ კონცერტი გაიმართა.

**30.05.2021** - ZOOM-ის ონლაინ პლატფორმაზე ანსამბლ „გორდას“ კონცერტი გაიმართა.

**1.06.2021** - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ანსამბლმა „ერისიონმა“ რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომში დაღუპული გმირებისა და მოქმედი ჯარისკაცების შვილებისათვის კონცერტი გამართა.

**03.06.2021** - გაიმართა ანსამბლ „იალონის“ ონლაინ სოლო კონცერტი ანსამბლ „სტუმართან“, მიმო ჯავახიშვილთან და თინა მეჭთიევთან ერთად.

**8.06.2021** - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დაბა ჯვარში ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა.

**16.06.2021** - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბაღში ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ალილოს“ სოლო კონცერტი გაიმართა.

**17.06.2021** - ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სამტრედიისა და ლენტეხის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა კონცერტი გაიმართა.

**20.06.2021** - ეთნომუსიკოლოგთა შემოქმედებითმა ჯგუფმა „ნანიამ“ განახორციელა პირველი ეტაპი პროექტისა „ქალთა რეგიონული ანსამბლები ტრადიციული მუსიკის დასაცავად“ (ხელმძღვანელი მაია გელაშვილი)

**23.06.2021** - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა ანსამბლ „კირიალესას“ პრეზენტაცია-კონცერტი.

**24.06.2021** - ქალაქ ფოთში ადგილობრივი სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა სოლო კონცერტი გაიმართა.


**გამოცემები**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ  
გამოსცა:

რუსუდან წურჭუმიას წიგნი „ქართული მუსიკის  
ისტორია უძველესი დროიდან XX საუკუნემდე“




ანსამბლმა „შავნაბადამ“ გამოსცა  
სააღდგომო საგალობლების აუდიოალბომი



თელავის ფოლკლორულმა ანსამბლმა  
„მზეშინამ“ გამოსცა  
პირველი აუდიოალბომი




მაგდა სუხიაშვილის წიგნი  
„ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია -  
ლექციები“




ფონდმა „ქართულმა გალობამ“ გამოსცა:  
მონოგრაფია „რობერტ გოგოლაშვილი“  
ეთნომუსიკოლოგ მარინა კვიციანაძის  
ავტორობით

ანსამბლმა „ბასიანმა“ გამოსცა  
ქართული ტრადიციული სიმღერებისა და  
საგალობლების 2010-2019 წლების საკონცერტო  
ჩანაწერების აუდიოალბომი



წიგნი „მარო თარხნიშვილი - 130“



საქართველოს პარლამენტის  
ეროვნულმა ბიბლიოთეკამ  
გამოსცა:

სამუელ ჩავლეიშვილის, ვარლამ სიმონიშვილის,  
ვანო სარაჯიშვილის, მიხეილ კავსაძის, აპოლონ  
ცამციშვილისა და ვანო მჭედლიშვილის  
აუდიოალბომები



მომზადა სოფიკო კოტრიკაძემ

ანზორ ერქომაიშვილის გახსენება

2021 წლის 31 მარტს გარდაიცვალა ქართული კულტურის უდიდესი მოამბე, ერქომაიშვილების მომღერალი დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი, მრავალმხრივ ღვაწლმოსილი ადამიანი - ანზორ ერქომაიშვილი. გასულ წელს ბატონ ანზორს 80 წელი შეუსრულდა, რაც გრანდიოზული საიუბილეო ღონისძიებით აღინიშნა მის მშობლიურ გურიაში. ჩვენი ბიულეტენის წინა ნომერში შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, გამოგვემზებებინა ანზორ ერქომაიშვილის ღვაწლი ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურის აღდგენა-შენარჩუნება-პოპულარიზების საქმეში. ამის შესახებ კიდევ ბევრი დაიწერება და ითქმება, თაობები იამაყებენ და მის კვალზე ივლიან...



ანზორ ერქომაიშვილი

ანზორ ერქომაიშვილი ძვირფასი იყო არა მარტო საქართველოსთვის, ის მსოფლიო მნიშვნელობის მოღვაწე გახლდათ, რომელიც ყველას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა, ვისთანაც შემოქმედებითი თუ პირადი ურთიერთობა ჰქონდა. ასეთი კი უამრავი ადამიანი იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან, სადაც კი მას ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად ან დამოუკიდებლად უმოგზაურია. ამიტომ გამოეხმაურა მსოფლიო საზოგადოება ასეთი გულის ტკივილით მის გარდაცვალებას... „ჩვენ ვეღარასოდეს შევხვდებით ანზორის მსგავს დიდებულ პიროვნებას, როგორც თავის

ხელოვნებაში, ისე მსოფლიო ხელოვნებაში მის მიერ შეტანილი წვლილით, დიდი გულით, რომელშიც ეტეოდა ყველა, ვინც კი მას ოდესმე ცხოვრებაში შეხვედრია, „ქლაუდ გეითის“ წევრებისა და ჩემი ჩათვლით. მან გაგვამდიდრა და განგვანათლა ჩვენ. მართლაც, ღვთის კურთხევა და წყალობაა, გყოლოდა იგი კოლეგის, მეგობრის, და რაც მთავარია, უდიდესი შთაგონების წყაროდ! ჩემთვის უდიდესი პატივი და პრივილეგიაა, გიწოდოთ ჩემი მეგობარი. დიდი მადლობა იმისათვის, რომ მოგვეცით შესაძლებლობა, თქვენი ხელოვნება „რუსთავის“ ღვთაებრივი შესრულების საშუალებით გაგვეცნო; თქვენი უგულითადესი სულგრძელობისთვის და იმისთვის, რომ გვასწავლეთ, რას ნიშნავს, იყო დიდებული ხელოვანი და დიდებული ადამიანი.“

**ლინ ჰვაი-მინი**

*ტაივანის საბალეტო დასის,*

*„ქლაუდ გეითის“ სამხატვრო ხელმძღვანელი*

„იმან, რაც ჩვენ მისგან ვისწავლეთ, შევისისხლხორცეთ, შეგვაძლებინა „იამაშიროგუმის“ გუნდის ჩამოყალიბება იმ ფორმითა და სახით, რა ფორმითაც ის დღეს არსებობს. ამ დიადი მუსიკოსის, მკვლევარისა და ხელმძღვანელის გარდაცვალება არა მხოლოდ ქართული ხალხის დანაკარგია, ეს მსოფლიო საგანძურის დანაკლისია. მან ახალი სიცოცხლე აჩუქა მსოფლიო ხელოვნებას. მსოფლიოში ვერავინ შეძლებდა ასე სრულად და საფუძვლიანად, ესოდენ ღირსეულად გაერთვა თავი ამ დიადი საქმისთვის. მისი თავდაუზოგავი ძალისხმევითა და მიღწევების გარეშე, ქართულ პოლიფონიას ვერასოდეს მიაკუთვნებდნენ მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს. იგი სამუდამოდ დარჩება ჩემს გულსა და გონებაში. ადამიანის ჭეშმარიტი ნეტარება ქართულ პოლიფონიურ სიმღერაში მდგომარეობს. ღრმად მწამს, რომ ამაში კიდევ არაერთხელ დაარ-

წმუნებთ მსოფლიოს. გაუმარჯოს ჩვენს მარადიულ მეგობრობას ანზორ-სენსეისთან!“

**სოჯი იამაშირო**

*გუნდ „იამაშიროგუმის“ სამხატვრო*

*ხელმძღვანელი*

„ის იყო მართლაც ჭეშმარიტი ჯენტლმენი და ულევო ცოდნის წყარო, ქართული მუსიკისა და კულტურის მაცოცხლებელი და ამალორძინებელი“.

**პიტერ გოლდი**

*ამერიკელი ანთროპოლოგი*

„პატივს მივაგებთ მის დიდ მიღწევებსა და წვლილს მსოფლიოში მშვიდობის მიღწევის საკითხში, რაც მუსიკისა და კულტურის გზაზე გადის“.

**კაზუტო იტო**

*მინ-ონის საკონცერტო ასოციაციის*

*პრეზიდენტი*

„ამაყი ვიყავი იმით, რომ ანზორის სამყაროს ნაწილს, შემედლო მცირედი აგური დამედო ქართული ხალხური მუსიკის დაცვა-შენარჩუნებისა და მსოფლიოში გატანის საქმეში. მადლობა უფალს, რომ შესაძლებლობა მომცა, გამეცნო ანზორი და ვყოფილიყავი მისი ცხოვრების ნაწილი. უსაზღვროდ მომენატრება. მიყვარხართ სიმღერაში“.

**კარლ ლინიკი**

*მომღერალი, ბარდის კოლეჯის ქართული*

*გუნდის ხელმძღვანელი*

„მსოფლიომ დღეს დაკარგა უაღრესად მნიშვნელოვანი და ძვირფასი ადამიანი. ეს დანაკარგი უსაზღვროდ დიდია - ის იყო ყველაზე გულუხვი, ნიჭიერი და შესანიშნავი მომღერალი, მომღერალთა ცნობილი დინასტიიდან! მის მიერ ქართული პოლიფონიის პოპულარიზებაში შეტანილი წვლილი ეპიკური მასშტაბისაა. ის საოცრად წარმატებული იყო თავის საქმეში, ამასთანავე, ყოველთვის უან-

გარო.... ჯერ კიდევ რამდენი რამ გვაქვს სასწავლო მისგან. სიტყვები უძლურია ამ დანაკარგის გადმოსაცემად“.

**ანდრეა კუზმიჩი**  
*ეთნომუსიკოლოგი*

„ანზორ ერქომაიშვილი იყო მე-20 საუკუნის უდიდესი ადამიანი. მან ააგო არნახული სილამაზის შენობა, მუსიკის სასახლე; დაგვიტოვა ყველაზე დიდი განძი - ხალხური მუსიკალური კულტურა. იყო უნიჭიერესი ადამიანი, თბილი, ტკბილი და ღრმა, როგორც გურული ხასიათი. ის არის მსოფლიო დონის კულტურის ნაწილი, ჩვენი სიამაყე... ის არის და დარჩება ქართული კულტურის მნიშვნელოვანი და დიდ ძეგლად“.

**რეზო გაბრიაძე**  
*ქართველი რეჟისორი*

„საქართველომ დაკარგა ეროვნული მოღვაწე, ქართული ტრადიციული მუსიკის გადამრჩენელი; მსოფლიოს წინაშე ჩვენი საგანძურის წარმდგენელი; უამრავი თაობის აღმზრდელი; ახალი ექვთიმე თაყაიშვილი, ახალი ფილიმონ ქორიძე, ახალი ექვთიმე კერესელიძე... პირადად მე კი, დაკვარგე უძვირფასესი მოძღვარი, მასწავლებელი, ერთგული და მოსიყვარულე მეგობარი, მამა-შვილური სიყვარულით მარად ჩემზე მზრუნველი და გზის გამკვლავი ადამიანი. უსაზღვროა მისი სიკეთე მოსწავლეთა და კოლეგათა მიმართ! საოცარია მისი თავგანწირვა სამშობლოსა და მუსიკისათვის! საკვირველია მისი თავმდაბლობა და დაუვიწყარია სინათლით და სიყვარულით აღსავსე მისი ღიმილი და მისი სახე! ჩვენ დაგვკარგეთ დიდი სიყვარული, მაგრამ, იმავდროულად, ჩვენ შევიძინეთ სიმბოლო, ზეციური მლოცველი და პატრონი ჩვენი საგანძურისა, რომელიც, ამიერიდან, მთაწმინდიდან, ღვთაებრივი ილიას დასში ჩამდგარი, მარადიულად გაგვინათებს ცხოვრების გზას, თავისი

უკვდავი საქმეებით, მხურვალე ლოცვით და უჭკნობელი დიდებით...“

**გიორგი დონაძე**  
*ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორი*

„ყველას ჩვენი ანზორ ერქომაიშვილი გვყავდა... მაგრამ, ყველა მათგანს ჰქონდა საერთო - საოცარი მეხსიერება, იშვიათი იუმორი, თანაგრძნობა, თავმდაბლობა, განცდა, რომ შენი ოჯახის წევრი, მეგობარი იყო, რომ ყველაზე მეტად შენ უყვარდი და გაქებდა უშურველად...“

ჩემი მასწავლებელი ისე მაქებდა, როგორც არავინ... მარტო მე კიარა, ყველას აქებდა. მისი ქება იყო კრიტიკა და ამას ცოდნა უნდოდა, როგორ მიგელო...“

...ის იყო ერთადერთი და განუმეორებელი! საიდანაც არ უნდა მიუღგე, რაც არ უნდა თქვა, ვინც არ უნდა ახსენო - ანზორ ერქომაიშვილმა შექმნა ეპოქა. ის იყო უპირობო ფლაგმანი! დღეიდან კიდევ უფრო გაიზრდება მისი სახელი, მისი საქმეები მეტად წარმოჩინდება. ვფიქრობ, რომ ვერასდროს, ვეღარავინ შეძლებს იმას, რაც მან გააკეთა. ვინც მიედრება ან ვისაც შეადარებენ, ყველა დაკნინდება. ახლა მისი სახელი მარადიულობაში დაიბადა...“

**დავით ცინცაძე**  
*ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი*

„ის ყველას გვაჩვენებდა სიყვარულს, ვინც ვიცნობდით და ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა. მთელი საქართველო, მთელი დედამიწა მას იცნობდა თავისი მუსიკალური შემოქმედებით. ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ მიუხედავად უდიდესი სიყვარულისა, რასაც მისგან ვიღებდით და ადამიანობისა, ის არ იყო ჩვეულებრივი ადამიანი. ის, დროთა მიღმიდან მოსული ქართული ჰარმონიასავით, ქართული მუსიკასავით, დროთა სიღრმიდან,



დროთა მიღმა რეალობიდან ჩვენთან მოსული ღმერთის შვილი იყო, რომელიც ღმერთმა თავისთან წაიყვანა და მისი საქმეები და მისი მარადისობა დაგვიტოვა“.

**სვიმონ ჯანგულაშვილი**  
*წმინდა სამების საკათედრო ტაძრის  
მგალობელთა გუნდის რეგენტი*

„ეპოქა დასრულდა! უდიდესმა ფიგურამ დაგვტოვა... ბატონო ანზორ, დიდი მადლობა იმისთვის, რაც საქართველოსთვის, ქართული კულტურისთვის გააკეთეთ... თქვენი უანგარო შრომა, ტრადიციებისადმი ერთგულება და სიყვარული ჩვენთვის ყოველთვის სამაგალითოდ დარჩება...“

**ანსამბლი „დიდგორი“**

„ანზორ ერქომაიშვილმა ქართული ხალხური სიმღერის უსაზღვრო სიყვარულის, თავდადებისა და ტიტანური შრომის შედეგად, ანსამბლ „რუსთავის“ შემოქმედება სრულყოფილების მწვერვალამდე აიყვანა. ის იყო ქართული ხალხური სიმღერის მამა, ჭეშმარიტი დიპლომატი, გენიალური პიროვნება. მსოფლიოს ხალხებსა და სახელმწიფოებს რომ მისნაირი ელჩები ჰყოლოდათ, ამ ქვეყნად ომები არ იქნებოდა. მისი ყოველი ფრაზა სიბრძნის სიმფონია გახლდათ. ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი საზოგადო მოღვაწე“.

**გიორგი ბეგიაშვილი**  
*ანსამბლ „რუსთავის“ პიარ-მენეჯერი*

**ქართველი ეთნომუსიკოლოგები**

**თამარ მესხი**

ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი მრავალსაუკუნოვანი, ტრადიციული, გლეხური მუსიკალური ფოლკლორის შედარებით „ახალგაზრდა“ შენაკადია, რომელიც სხვადასხვა მუსიკალური კულტურის გავლენით, ბოლო რამდენიმე საუკუნეა ქართულ ნიადაგზე ჩამოყალიბდა, განვითარდა და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოების ფართო მასებში. ქალაქური ფოლკლორი სპეციალური კვლევის საგნად აქცია ღვაწლმოსილმა ქართველმა ეთნომუსიკოლოგმა, **თამარ მესხმა**, რომელმაც ხუთ ათწლეულზე მეტი პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას შეაღია. იგი გახლდათ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური შემოქმედების კათედრის მეცნიერთანამშრომელი და პედაგოგი, საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა კავშირის წევრი, არაერთი ფოლკლორისტული ექსპედიციის მონაწილე, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციის მომხსენებელი. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები კონსერვატორიის სამეცნიერო კრებულებში, სტატიები ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, პერიოდულ პრესაში. მათ შორის, ქალაქურ ფოლკლორს ეძღვნება: „სიმღერად ქცეული სტროფები“ (ჟურნალში: „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, #6), „ქართული ქალაქური მუსიკალური შემოქმედება“ (ჟურნალში: „საბჭოთა ხელოვნება“, 1989, #5), „ლირიკულ სიმღერათა ნაკადი“ ((ჟურნალში: „საბჭოთა ხელოვნება“, 1992, #7), „თანამედროვე ქართული მუსიკალური ფოლკლორის საკითხისთვის“ (თსკ-ის შრომების კრებულში, 2000), „ქართული ქალაქური ხალხური მუსიკა“ (სახელმძღვანელოში „ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება“, თბილისი, 2005) და სხვა.

ტმკსც-ის სახელით, ვუსურვებთ ქალბატონ თამარს ჯანმრთელობას და დღეგრძელობას და გთავაზობთ მისი ნაშრომების მიხედვით დამუშავებულ სტატიას ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის შესახებ.



თამარ მესხი

### ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი

ქართული ქალაქური მუსიკა ეროვნული მუსიკალური საგანძურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, თუმცა საუკუნეობრივი, ტრადიციული ფოლკლორისაგან განსხვავებით, ბევრად „ახალგაზრდაა“ და წმინდა ნაციონალური ნიადაგიდან არ აღმოცენებულა.

სტილური სპეციფიკისა და მუსიკალური გამომსახველობის მხრივ, ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები ორ ჯგუფადაა გაყოფილი: ე.წ. *აღმოსავლური შტო*, რომელიც აშუღურ კულტურის გავლენით ჩამოყალიბდა და ე.წ. *დასავლური შტო*, რომელიც რუსული საყოფაცხოვრებო რომანსისა და იტალიური საოპერო მუსიკის გავლენის შედეგად შეიქმნა.

აშუღური ტრადიცია აღმოსავლეთის მემკვიდრეობაა, რომელიც წინა აზიის ხალხებთან ხანგრძლივი ურთიერთობების ნიადაგზე, კერძოდ, XVI – XVII საუკუნეებში, მაჰმადიანთა ჩამოსახლების შედეგად შემოვიდა და

დამკვიდრდა ჩვენში. მტრის გამუდმებული თარეშითა დაძაბუნებული ქართველობა შეუპოვრად იცავდა თავის არქიტექტურულ, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ძეგლებს. მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნების ბატონობამ მაინც თავისი კვალი დატოვა და, ნებისთ თუ უნებლიედ, გზა გაუხსნა უცხოურ კულტურას. აშუღობა ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული კომუნიკაციის განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ნიჭიერი აშუღები, რომელნიც მთელ ამიერკავკასიაში გასტროლირებდნენ, პოპულარობით სარგებლობდნენ ჩვენშიც. აშუღთა ხელოვნება სინკრეტულ ხასიათს ატარებდა. ისინი ერთდროულად პოეტებიც იყვნენ, კომპოზიტორებიც, მომღერალლებიც, ინსტრუმენტალისტებიც და მოცეკვავეებიც. აშუღთა შემოქმედებას ახასიათებდა ლირიკული, კერძოდ კი - ინტიმურ-სამიჯნურო სიუჟეტების სიჭარბე, მგზნებარე რომანტიკა, რასაც ქართული ტრადიციული, სოფლური ტიპის ლირიკულ-სატრფიალო სიმღერები მოკლებული იყო. სწორედ ამით ხსნიან, ერთი შეხედვით, უცნაურ ფაქტს, რომ უნიკალური მრავალხმიანობისა და მძლავრი საგუნდო ტრადიციების მქონე ქართველობამ არა თუ უკუაგლო მონოდიური ხასიათის აშუღური ჰანგები, არამედ ადვილად შეითვისა ისინი. ჩვენმა აშუღებმა და მგოსნებმა „თავისი მხურვალე სამიჯნურო სიმღერებით ძლიერი ნაკადი შეიტანეს ქართულ ხალხურ მუსიკაში“.

აშუღური ტრადიციები თვალსაჩინოდ გამოვლინდა იმ რეგიონებში, სადაც არაქართული წარმომავლობის მოსახლეობა ბინადრობდა და, შესაბამისად, აღმოსავლური რეპერტუარისადმი ინტერესი ჭარბობდა. ამდენად, ქართულ სინამდვილეში აშუღობის ძირითად კერებად დასტურდება ქართლ-კახეთის დაბა-ქალაქები (თბილისი, თელავი, გორი) და მე-16 საუკუნიდან სამშობლოს მოწყვეტილი სამცხე-ჯავახეთი.

დიდი სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარე თბილისმა ძველთაგანვე მრავალი ეროვნების წარმომადგენელი შეიფარა და ინტერნაციონალური ქალაქის სახე მიიღო. აქ თანაარსებობდნენ აღმოსავლური მუსიკისა და ეროვნული კულტურის ტრადიციები. აქ მო

ღვაწე აშულები ასრულებდნენ როგორც სპარსულ-აზერბაიჯანულ მულამებს, ისე ადგილობრივი მუსიციერების პრაქტიკაში აღმოცენებულ ნიმუშებს. საქართველოს აშულებმა შეითვისეს აღმოსავლური პოეზიის ისეთი კლასიკური ფორმები, როგორებიცაა: ბაიათი, მუხამბაზი და შიქასტა. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ფიგურა იყო თბილისელი აშულების მამად წოდებული საიათნოვა (არუთინ საიადიანი. 1712-1795), რომელიც სომხურ, აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე ქმნიდა და ასრულებდა სიმღერებს.



საიათნოვა

ცნობილია, რომ აღმოსავლური პოეზიის გარკვეული გავლენა განიცადეს ქართველმა პოეტებმაც - ბესიკმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანმა, რომელთა ქმნილებები აშუღური სიმღერების დიდ ნაწილს უდევს საფუძვლად.

აღმოსავლური შტოს ქალაქური სასიმღერო რეპერტუარი არც ჟანრული დიაპაზონის სიფართოვით გამოირჩევა და, ტრადიციული სოფლური სიმღერებისგან განსხვავებით, გამომსახველობითი ხერხების სიმარტი-

ვითა და სტერეოტიპული ერთგვაროვნებით ხასიათდება. აღსანიშნავია ორიენტალური მუსიკისათვის დამახასიათებელი გადიდებული სეკუნდის ინტერვალი და მელიზმატიკის სიჭარბე, პარალელურად კი, მონოდიური ჰანგების გამრავალხმიანების ტენდენცია, რაც ქართული ტრადიციული აზროვნების აშკარა გამოვლინებაა. ცნობილი აშუღური სიმღერების მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ: „კარგი იყო არ გამეცან თავიდან“, „ცივ ზამთარში უსახლკაროდ“, პატარა გოგო დამეკარგა“ და სხვა.

აღმოსავლური ყაიდის ერთხმიანმა ქალაქურმა სიმღერამ აღმავლობის ზენიტს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია, XIX საუკუნიდან კი ახალი ეტაპი იწყება, რაც ჩვენში რუსულ-ევროპული ცივილიზაციის შემოსვლას უკავშირდება. პირველი საოპერო დასის ჩამოსვლის შემდეგ მუდმივი თეატრის დაარსებამ (1850წ), საკონცერტო ცხოვრების გამოცოცხლებამ, უცხოური საკრავების დამკვიდრებამ, ახალი ტიპის ლირიკული სიმღერის შექმნა განაპირობა, სადაც ერთმანეთს შეერწყა ქართულ-ევროპული გამომსახველობა. გლახური ფოლკლორის ღრმად თვითმყოფადი კილოური სტრუქტურიდან მაჟორ-მინორულზე ხდება გადასვლა; არატერციული წყობის აკორდებს სამხმოვანებები და მათი შებრუნებები ცვლის, თვალშისაცემია პარალელური ტერცია-სექსტა-ოქტავების სიჭარბე; მკვეთრდება მეტრ-რიტმული საწყისი; ჰარმონიული ენა ტონიკურ, სუბდომინანტურ, დომინანტურ ფუნქციათა ურთიერთშეუღლებას ეფუძნება. ამ კატეგორიის სიმღერათა ენა სადაა, მელიზმატური სირთულეების გარეშე.

თუმცა, მსგავსად აღმოსავლური მონოდიური ჰანგებისა, დასავლური შტოს სიმღერებიც ვერ „ასცდა“ გამრავალხმიანებას. ყველა მათგანში დაცულია სამხმიანი შესრულების პრიორიტეტი, თავისუფალი იმპროვიზაციის პრინციპი ზედა ხმების პარტიებში, ბანის საორღანო პუნქტი და შესრულების გუნდური

ფორმა. ეროვნულ კოლორიტს აძლიერებს ქართული მისამღერ-შემახილები: ოდელია, რანუნი, რირა, ორერა და ა.შ.

ქალაქური სიმღერის ე.წ. დასავლური განშტოება ჩაისახა დასავლეთ საქართველოს ძირითადად ორ ქალაქში - ქუთაისსა და ზესტაფონში. ევროპულ-რუსული მუსიკის დანერგვას ხელს უწყობდნენ საეკლესიო, მოსწავლეთა და სტუდენტური გუნდები, ასევე მოხეტიალე რუსი დილექტანტი მუსიკოსები, სამუსიკო სალონების ფუნქციონირება, უფრო მოგვიანებით კი - საოპერო მომღერალთა გამოსვლები.

თუ ერთხმიან სიმღერებს აშუღები ქმნიდნენ და ასრულებდნენ, საგუნდო ნიმუშების ავტორ-შემსრულებელი იყო სხვადასხვა სოციალური ფენის ფართო მასა, რომელიც მღეროდა უთანხლებოდ ან გიტარის აკომპანიმენტით. წამყვანი თემატიკა სატრფიალო და პატრიოტული იყო. ამ სიმღერების დიდ უმრავლესობას საფუძვლად აკაკი წერეთლის, რომანტიკოსი პოეტებისა და ილია ჭავჭავაძის ლექსები უდევს.

ქალაქურ მრავალხმიანობაში ფართოდაა წარმოდგენილი სუფრული სიმღერები „მრავალჟამიერ“, რომლებიც სხვადასხვაგვარად იწოდება (გრძელი, მოკლე, ქორალური, სტუდენტური, ქალაქური, საეკლესიო და ა.შ.), თუმცა, ისინი მკვეთრად განირჩევიან გრძელი ქართლ-კახური სუფრულებისაგან მარტივი არქიტექტონიკითა და ევროპული მუსიკალური გამომსახველობით.

აღსანიშნავია დასავლური ქალაქური სიმღერების იშვიათი პოპულარობა. ქუთაისურ-ზესტაფონური მრავალხმიანი ვოკალური კულტურა შემდგომში ფართოდ გავრცელდა და ორგანულად შეესისხლხორცა აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ კი, დედაქალაქის მუსიკალურ ცხოვრებას. განსაკუთრებული ადგილი ამგვარი ყაიდის სიმღერებმა დაიმკვიდრა *დები იშხნელების* შემოქმედებაში. მათ მიერ შესრულებული „ციცინათელა“, „მხო-

ლოდ შენ ერთს“, „გაზაფხული“, „მორბის არაგვი“, „ყაყაჩო აყვავებულა“ და მრავალი სხვა დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ და უცხოელ მსმენელებს შორის.



დები იშხნელები

დასავლური ყაიდის მრავალხმიანი ქალაქური სიმღერები შესრულების მანერით, ხმათა ურთიერთდამოკიდებულების პრინციპებით, ქართული ბუნებისათვის უფრო ახლობელი, განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი და განახლება-განვითარების პოტენციის მქონე აღმოჩნდა, რის გამოც თანამედროვე ქართული ლირიკული საკომპოზიტორო მუსიკალური შემოქმედების ბაზისად იქცა.

XVII-XVIII საუკუნის საქართველოში ინტენსიურად გავრცელდა არაქართული, ნაწესხები საკრავებიც. აღმოსავლური შტოს სიმღერებთან ერთად აქ დიდი პოპულარობით სარგებლობდა თარი, საზი, ქამანჩა, ზურნა, დუდუკი; ასევე - გარმონი, არღანი. განსაკუთრებით პოპულარული იყო ინსტრუმენტული ანსამბლები: ჩასაბერ საკრავთა *დასტა* და სიმებიან საკრავთა *საზანდარი*. XIX საუკუნიდან კი, დასავლური შტოს სიმღერებთან ერთად დიდი პოპულარობა მოიპოვა ევროპულმა გიტარამ, მანდოლინამ, მოგვიანებით კი - ფორტეპიანომ.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორი ეროვნული ფესვებიდან არ ამოზრდილა, მან საკმაო პოპულარობა მოიპოვა საქართველოში და თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა გლეხური ფოლკლორის გვერდით.

### **ქართული ხალხური სიმღერის უცხოელი შემსრულებლები**

### **ანსამბლი „ჩელა“ დიდი ბრიტანეთიდან**

„ჩელა“ გახლავთ ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი გუნდი კემბრიჯიდან. თავიდან ვიყავით საქართველოს უნივერსიტეტის საგუნდო ტრადიციით მოხიბლული მეგობართა ჯგუფი, თუმცა, უკვე 20 წელზე მეტია, კვირაობით ჩვენს სახლში ვიკრიბებით. „ჩელას“ წევრების უმეტესობას კარგად ახსოვს პირველი ამაღელვებელი შეხვედრა სამხმინ ქართულ სიმღერასთან. მე განსაკუთრებით მაღლიერი ვარ ჰელენ ჩედვიკის, რომელსაც Natural Voice Network-ის საშუალებით შევხვდი. ჰელენმა დამპატიჟა სიმღერის მასტერ-კლასზე რომელსაც უძღვებოდა შესანიშნავი ეთნომუსიკოლოგი საქართველოდან, ედიშერ გარაყანიძე. ეს იყო 1997 წლის ნოემბერში. ბევრი ადამიანი იყო შეკრებილი კემბრიჯის ერთ-ერთ უძველეს „მრგვალ ტაძარში“, ბრიჯის ქუჩაზე. ტაძარი სუსტად იყო განათებული სანთლებით. ედიშერ გარაყანიძე გუმბათის ქვეშ წრის ცენტრში იდგა. ეს იყო მაღალი კაცი, ღიმილით, რომელიც თითქოს ამჩნევდა და ეკუთვნოდა მასთან მიახლოებულ თითოეულ ადამიანს. ედიშერი ცუდად საუბრობდა ინგლისურად, მაგრამ ამის კომპენსაციას ექსპრესიული ჟესტებით აკეთებდა. ჰელენ ჩედვიკი მას გერმანულ ენაზე კომუნიკაცი-

აში ეხმარებოდა. საბედნიეროდ, იქ მყოფი რამდენიმე ადამიანი უკვე იცნობდა ქართულ სიმღერას. ედიშერი მღეროდა მომნუსხველ სამ-ხმინ ჰარმონიებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ. მან სასწაულებრივად შთაგვაგონა, რომ არად ჩაგვეგდო შეცდომები და მას ავყოლოდით სიმღერაში. მან რწმენა მოგვცა. ბევრი ჩვენგანისთვის შევების მომგვრელი იყო ედიშერის სიტყვების მოსმენა: “არასწორი ნოტი, უბრალოდ განსხვავებული ნოტია”. მისი გზავნილი იყო რომ დაბადებიდან ყველას შეუძლია სიმღერა. ეს ღვთის საჩუქარია. დიდი ბედნიერებაა შენი ხმის სხვისთვის მიცემა და საპასუხოდ მისი ხმის მიღება. მასტერ-კლასის ბოლოს ყველა რიგში იდგა ედიშერისთვის მადლობის გადასახდელად, ამ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილებისათვის. პასუხად ის თითოეულ ჩვენთაგანს გვიხუტებდა. საიდან უნდა გვცოდნოდა რომ ედიშერს ველარასდროს შევხვდებოდით? ედიშერის ხსოვნის პატივსაცემად ჩვენ კვლავაც ვასრულებთ მის მიერ ნასწავლ სიმღერებს.



ანსამბლი „ჩელა“

„ჩელა“ ყოველთვის იყო ქალთა და მამაკაცთა გუნდი, უმეტესად ხელმძღვანელის გარეშე. ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, ჩვენ ვეყრდნობით საქართველოდან ჩამოსულ მუსიკოსებს. „ჩელას“ მჭიდრო ურ-

თიერთობა აქვს ლონდონში არსებულ ქართულ გუნდთან „მასპინძელი“. 2002 წელს სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად „ჩელას“ ხუთი წევრი „მასპინძელს“ შეუერთდა და ჩვენ ერთად ვიმოგზაურეთ საქართველოში ვენის მენლის ხელმძღვანელობით. მას შემდეგ ბევრი ჩვენგანი კვლავ არაერთხელ ესტუმრა საქართველოს.

ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუმასპინძლეთ საქართველოდან ჩამოსულ მრავალ სტუმარ გუნდს კემბრიჯში. მათ შორის იყვნენ: „მთიები“ და „ამერ-იმერი“, „სახიობა“ „შავნაბადა“, ასევე, ქალთა ანსამბლები: „მზე-თამაზე“, „ნანიანა“, „სათანაო“ და „იალონი“. ჩვენი სტუმარი გახლდათ ბატონი ანზორ ერქომაიშვილიც. ყველა მათგანმა დიდსულოვნად გვასწავლა თავისი სიმღერები. ჩვენთვის შესანიშნავი გამოცდილებაა სიმღერების შესწავლა ნანა მჟავანაძის, ნინო ნაწიშვილის, ლევან წიტიშვილის, გიგი გარაყანიძის და მისი მეუღლის მაგდა კველიშვილის; ასევე თორნიკე სხიერელის და ნინო რაზმაძისგან. პანდემიის პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი იყო კავშირის შენარჩუნება ზუმის საშუალებით.

## მირანდა არმორ-ბრაუნი

### ერთი ახალი გამოცემა

## სვანური ხალხური შემოქმედება

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგებისა და სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრმა“ დაბეჭდა წიგნი *სვანური ხალხური შემოქმედება. სასიმღერო ტექსტები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფერხულები და ცეკვები*. პროექტის იდეის ავტორია დავით ცინცაძე.



წიგნში თავმოყრილია სვანური 100-ზე მეტი სვანური ხალხური სიმღერის ვერბალური ტექსტი, რომლებიც მიმოფანტულია სხვადასხვა სახის სპეციალურ ფოლკლორულ ლიტერატურაში, როგორც სასიმღერო, ასევე საფერხულო და საცეკვაო ნიმუშების კრებულებში. ავტორთან ერთად, სვანური ტექსტების უდიდესი ნაწილი დაამუშავა სვანმა ლოტბარმა ვახტანგ ფილფანმა, რაც ნიმუშების ავთენტიკურობასა და სანდოობას ადასტურებს. ნაშრომს კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს ანსამბლ „რიჰოსა“ და მისი ლოტბარის, ისლამ ფილფანის მიერ გაცოცხლებული, სვანური მუსიკალური ფოლკლორის უნიკალური აუდიომასალა, რომლის ჩაწერაც, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ხელშეწყობით, 1999 წელს განხორციელდა მესტიაში. წიგნში შეხვდებით მაჰარბი გურგულიანისა და პლატონ დადვანის ხელმძღვანელობით, ლატალისა და მესტიის გუნდების მიერ ტრადიციული, ავთენტიკური ნიუანსირების დაცვით შესრულებულ ათეულობით სვანურ სასიმღერო, საცეკვაო და საფერხულო ნიმუშს.

აღსანიშნავია დავით ცინცაძის ძალისხმევა სვანი ლოტბარისა და ქორეოგრაფის, მაჰარბი გურგულიანის ხსოვნის უკვდავსა-

ყოფად. წიგნში პირველად ქვეყნდება ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ფაქტები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.


განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ წიგნის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, დრამის ფაკულტეტის ქართული ხალხური და ტრადიციული მუსიკის გუნდის დირიჟორის მიმართულების სტუდენტები, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ტექსტების მოძიებასა და ფორმირებაში.

ამგვარად, ახალ გამოცემაში წარმოდგენილი სვანური ფოლკლორული ნიმუშები და სასიმღერო ტექსტები, თანდართული ვიდეო და აუდიო ჩანაწერებით, ახალგაზრდა თაობას სვანური კულტურის ფესვებთან მიაახლოვებს. ამასთან ერთად, წიგნში თავმოყრილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები ერთმნიშვნელოვნად საინტერესოა არამხოლოდ ქართული ხალხური სიმღერების, ცეკვებისა და ფერხულების შემსრულებლებისთვის, არამედ ქორეოლოგებისა და სვანური სასიმღერო ფოლკლორის მკვლევრებისთვისაც.

## სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „ქალი, ტრადიცია, მუსიკა“

მსოფლიოს მრავალი გამოჩენილი ქალი მუსიკოსი ახსოვს - კომპოზიტორები, შემსრულებლები, მკვლევრები... დიდია ქალის როლი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ტრადიციაშიც. ყოველდღიური ყოფის თითქმის ყველა მომენტი მუსიციერებით იყო თანხლებული: ქალი მღეროდა ბავშვის დაძინებისას, ხელსაქმისას, სხვადასხვა საოჯახო საქმის შესრულებისას, ლოცვისას, გლოვისას, ლხინისას... საკმაოდ მდიდარია ქართველ ქალთა ტრა-

დიციული რეპერტუარიც, რომელსაც საზოგადოება, სამწუხაროდ არც თუ ისე კარგად იცნობს.



კონფერენციის თეზისები

2021 წლის 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, საქართველოს ქალთა საბჭომ და ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმმა ჩაატარეს სამეცნიერო კონფერენცია - „ქალი, ტრადიცია, მუსიკა“, რომელიც ღვაწლმოსილი ქართველი ენათმეცნიერის, ფილოლოგის, ქალბატონი მზექალა შანიძის 95 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენციის მიზანი იყო ქალის როლის წარმოჩენა როგორც ტრადიციული, ასევე, ზოგადად, მუსიკის ყველა დარგში. კონფერენცია ონლაინ ფორმატში, ZOOM-ის პლატფორმაზე გაიმართა.

საკონფერენციო თემატიკის მრავალმხრივობამ განაპირობა კონფერენციაზე წარმოდგენილი თემების მრავალფეროვნება: მოხსენებების თემატიკა აერთიანებდა ტრადიციული და პროფესიული მუსიკის, ქორეოლოგიისა და ისტორიის საკითხებს. მათ შორის ჭარბობდა თემები ტრადიციული მუსიკის მიმართულებით.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი) და სტუდენტები (საქართველოს თეატრისა და

კინოს უნივერსიტეტი, გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი), აგრეთვე - საჯარო სკოლების მუსიკის პედაგოგები.

გიორგი მთაწმინდელის გალობის უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ წარმოდგენილი თემები ეხებოდა ცნობილ ლოტბარ ქალბატონებს: მარო თარხნიშვილს, მარიამ არჯენიშვილს, ნინო ნიშნიანიძეს და სხვა. საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგებმა გაგვიზიარეს სკოლაში ტრადიციული მუსიკის სწავლების საკუთარი გამოცდილება („ბატონების ტრადიცია და მასთან დაკავშირებული სიმღერების შესწავლა საჯარო სკოლაში“, „აკვნის ნანების მნიშვნელობა თანამედროვე ბავშვის ცხოვრებასა და განვითარებაში“). საინტერესო რაკურსით იყო დანახული და გაანალიზებული ქართველ ქალთა ტრადიციული მუსიკალური ფოლკლორის შემსრულებლობის პრობლემები და ტენდენციები თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მაკა ხარძიანისა და მისი სტუდენტის - ანანო ხიჯაკაძის ერთობლივ ნაშრომში. კონფერენცია კიდევ უფრო მეტად გაამრავალფეროვნა ნინო ბუჩუკურის მოხსენებამ პროფესიული მუსიკის სფეროდან „ქალი კომპოზიტორების როლი ქართულ მუსიკაში და მათი შემოქმედების სწავლება საჯარო სკოლაში“ და ანანო სამსონაძის მოხსენებამ ქართველ ქორეოლოგ ქალბატონებზე „სამთაგანას“ გზაჯვარედინზე: ქალთა სახელები XX საუკუნის ქართულ ქორეოგრაფიაში“.

კონფერენციას ქალბატონი მზექალა შანიძეც დაესწრო. იგი დადებითად გამოეხმაურა ქალთა კონფერენციის ჩატარების იდეას და შეაფასა, როგორც უაღრესად აქტუალური, საინტერესო და მრავალფეროვანი თემატიკით გამორჩეული სამეცნიერო ფორუმი.

თანამედროვე მსოფლიოში გენდერული თანასწორობის შეუქცევადი ტენდენციის პირობებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღ-

ვაწე ქალთა მრავალმხრივი და ნაყოფიერი შემოქმედების შესწავლა, ამიტომ, კონფერენციის ორგანიზატორები სამომავლოდაც გეგმავენ მსგავსი ხასიათის ღონისძიებების ჩატარებას.

### **სოფიკო კოტრიკაძე**

*კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ხელოვნების სასახლის ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტი*

### **ერთი რეგიონული ანსამბლი**

#### **ანსამბლი „შემოქმედი“ გურიიდან**

მგალობელ-მომღერალთა ანსამბლი „შემოქმედი“ შემოქმედის ეპარქიის საკათედრო ტაძრის სამეუფეო გუნდის ბაზაზე, 2007 წელს შემოქმედელი მიტროპოლიტის - იოსების (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. 2014 წლიდან ანსამბლს რამდენიმე გამოცდილი მომღერალი დაემატა და წევრებმა ქართული ხალხური სიმღერების უძველესი ვარიანტების მოძიება-აღდგენა და შესწავლა დაიწყეს. ამ პერიოდიდან „შემოქმედი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლეთა საზოგადოების ცენტრთან არსებული ანსამბლის სტატუსით აგრძელებს მოღვაწეობას. ჩამოყალიბების დღიდან „შემოქმედის“ ხელმძღვანელია **ლაშა ჩხარტიშვილი**.

ანსამბლის თითოეული წევრი ბავშვობიდან ეზიარა გურულ სიმღერას. ზოგი მათგანი მომღერალი ოჯახის, საგვარეულოს წარმომადგენელია, ზოგს კი გავლილი აქვს ისეთი ცნობილი შემსრულებლების სკოლა, როგორებიც იყვნენ: მიხეილ შავიშვილი, კარლო ურუშაძე, გელა ცელაძე. „შემოქმედის“ წევრებს დამთავრებული აქვთ ოზურგეთის მიხეილ შავიშვილის სახელობის სალოტბარო სკოლა,



სადაც მათი პედაგოგი ტრისტან სიხარულიძე იყო. ანსამბლის კონსულტანტი გახლდათ ცნობილი მომღერალი და ლოტბარი გური სიხარულიძე. „შემოქმედის“ ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი და მისი თანაშემწე მამუკა სირაძე გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან (2013 წ., ანზორ ერქომაიშვილის სახელოსნო).



ლაშა ჩხარტიშვილი

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოში, მე-19 საუკუნემდე მოღწეულ სამგალობლო სკოლებს შორის შემოქმედის მონასტრის სკოლა მართლაც გამორჩეულია. სწორედ აქ მოღვაწეობდა ანტონ დუმბაძე, რომლის კილოზეც აღიზარდა სრული მგალობლების მთელი პლეადა: დავით დუმბაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ და ანტონ კონტრიძეები, ივანე ხავთასი, სიმონ მოლარიშვილი, კონსტანტინე სალუქვაძე, ილია ხომერიკი, სამსონ ჭანუყვაძე, დომენტი ხინთიბიძე, სამუელ ჩხიკვიშვილი, დიმიტრი პატარავა, ვარლამ სიმონიშვილი, არტემ ერქომაიშვილი. შემოქმედის მონასტერმა უდიდესი როლი შეასრულა გურულ-იმერული კილოს საგალობლების გადარჩენის საქმეში. ამიტომ, დღეს, დასავლეთ საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი სამგალობლო ტრადიციით ახალგაზრდების დაინტერესება, კერძოდ, ანსამბლ „შემოქმედის“ მიერ ადგილობრივი ნიმუშების

შესწავლა და მათი ღვთისმსახურებაში დაბრუნება, მართლაც მამულიშვილური საქმეა.

რაც შეეხება გლეხურ ფოლკლორს, გამომდინარე რეგიონული კუთვნილებიდან, რეპერტუარის შერჩევისას უპირატესობას გურულს ანიჭებენ. ანსამბლის შექმნის მთავარი ამოცანა სწორედ ძველი, მივიწყებული გურული სიმღერების გაცოცხლება და მომავალი თაობისათვის გადაცემა იყო. თუმცა „შემოქმედის“ რეპერტუარში სხვა კუთხის სიმღერებიცაა ჩართული.

რეპერტუარის ძირითადი მასაზრდოვებელი წყარო ერქომაიშვილების, სიმონიშვილის, ხუბუნაიშვილების, ჩავლეშვილის და სხვათა საარქივო ჩანაწერებია.

ამჟამად ანსამბლის წევრები არიან: ლაშა ჩხარტიშვილი, მამუკა სირაძე, ვახტანგ ვაშაყმაძე, დავით ქავჯარაძე, მამუკა ჩავლეშვილი, გიორგი კუჭუხიძე, კობა მეფარიშვილი, ვალერი კალანდაძე, ვაჟა სიხარულიძე, აკაკი ბილიხოძე, ირაკლი ლომჯარია. მათი ასაკი 30-დან 45 წლამდეა. პროფესიით ყველა მუსიკოსი არ არის. ზოგი იურისტი, ზოგი - ეკონომისტი, ზოგიც - კულინარი.

„შემოქმედი“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სახის ფესტივალებსა თუ ღონისძიებებში: წარმატებით გამოდის ტრადიციული მუსიკის კონცერტებსა და საღამოებზე (წმ. ექვთიმე კერესელიძისა და წმ. ფილიმონ ქორიძისადმი მიძღვნილი გალობის საღამოები ოზურგეთსა და თბილისში), მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივალებში (გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერი მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი ბათუმში, არტ-გენი თბილისში); 2015-16 წლების საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ დათვალიერება ფესტივალზე „შემოქმედი“ პირველი ადგილის მფლობელი გახდა ნომინაციაში „ხალხური სიმღერის ახალგაზრდული ანსამბლი“.

## ნოკო ხურცია



ანსამბლი „შემოქმედი“ მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმზე

2017 წელს ანსამბლმა გამოსცა აუდიო ალბომი, რომელშიც შესულია 9 გურული სიმღერა და შემოქმედის სკოლის 4 საეკლესიო საგალობელი. ალბომი გამოიცა საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ ორგანიზებით და ხელშეწყობით, პრეზენტაცია კი მოეწყო ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დარბაზში.

ამჟამად „შემოქმედი“ ახალი აუდიო ალბომის ჩაწერისთვის ემზადება. მართალია, პანდემიამ ხელი შეუშალა საგასტროლო მოგზაურობაში, მაგრამ, ანსამბლის წევრები იმედიანად არიან და უახლოეს მომავალში სოლო კონცერტის ჩატარებას გეგმავენ.

მეგრული ხალხური სიმღერის დიდოსტატის, ნოკო ხურციას სახელი ლეგენდასავით შემორჩა მის შემდგომ თაობებს, რაც მომღერლის უნიკალურმა მუსიკალურმა ნიჭიერებამ, შეუდარებელმა ხმის ტემბრმა და საშემსრულებლო მანერამ განაპირობა. მეგრულთან ერთად, სტილისა და კოლორიტის ფაქიზი შეგრძნებით ასრულებდა ნოკო ხურცია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერებს. იგი, ამასთანავე, მრავალი შესანიშნავი სიმღერის ავტორიც იყო, რომლებიც დღემდე ბევრს ხალხური ჰგონია...

ნოკო ხურცია მომღერალთა ოჯახში დაიბადა სენაკის რაიონის სოფელ მენჯში. პატარობაში მამით დაობლდა. ოჯახისთვის მძიმე ტვირთის შემსუბუქება მან ნადში სიმღერით სცადა. შრომაში გაწაფული ბიჭი თანდათან სიმღერებშიც დაოსტატდა. 16 წლისა უკვე სენაკის გუნდში მღეროდა. მისი პირველი მასწავლებლები ვალერიან გეგეჭკორი და რემა შელეგია იყვნენ.

როდესაც სტუდენტობის დრო დაუდგა (1923წ), არჩევანი სამედიცინოზე შეაჩერა, თუმცა მესამე კურსიდან გადაწყვეტილება შეიცვალა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადავიდა. სწავლასთან ერთად მღეროდა კორნელი მაღრაძის გუნდში, სადაც მისი რეპერტუარი საკმაოდ გამდიდრა. 1925 წლიდან ნოკო ხურცია დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის წამყვანი სოლისტი გახდა ცნობილი ლოტბარის, კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით. ამ გუნდმა 1926-1930 წლებში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც (რუსეთში, აზერბაიჯანში და ა.შ.).

კირილე პაჭკორია წერდა: „ნოკო ხურცია მოვლენაა ქართულ სიმღერაში. მისი მსგავსი ტალანტები საუკუნეში ერთხელ იბა-

დებიან, მისი ბადალი მომღერალი საქართველოს სახელმწიფო ანსამბლს არ ჰყოლია“...

1932 წელს ნოკო ხურცია სენაკში დაბრუნდა და რემა შელეგიას გუნდში დაიწყო სიმღერა, შეიძლება ითქვას მისი მთავარი მამობრავებელი ძალა გახდა.

1936 წლიდან იგი კვლავ თბილისში ჩამოვიდა და დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს შეუერთდა, რომელთან ერთადაც 1937 წელს მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაში მიიღო მონაწილეობა. დეკადის მოსამზადებელ პერიოდში მოსკოვში წარსაგზავნ კოლექტივებს ხელმძღვანელობას უწევდა გამოჩენილი ქართველი დირიჟორი ევგენი მიქელაძე. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ნოკო ხურციას ისეთი მაღალი ნოტი აუღია, რომ ყველა განუცვიფრებია. თვალეგაბრწყინებულ მიქელაძეს სიმღერის დამთავრებისათვის აღარ დაუცდია, სცენაზე აჭრილა, ნოკოს გადახვევია და აღფრთოვანებით უთქვამს: „ასეთი თვითნაბადი ოქრო ჯერ არ მინახავს“. აღსანიშნავია, რომ დეკადაზე მოპოვებული წარმატებისათვის ანსამბლის სოლისტებიდან მხოლოდ ორს - ნოკო ხურციასა და ელენე ჭუბაბრიას „საკატიო ნიშნის ორდენი“ გადასცეს.

1937 წლის ზაფხულში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად გაერთიანდა გრიგოლ კოკელაძისა და სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით. ნოკო ხურცია კვლავ ანსამბლის წამყვან სოლისტად დარჩა.

1938-41 წლებში ნოკო ხურციამ სალოტბარო მოღვაწეობა დაიწყო, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ეხმარებოდა იქაურ საგუნდო კოლექტივებს რეპერტუარისა და საშემსრულებლო ოსტატობის დახვეწაში.

1945-1949 წლებში ნოკო ხურცია ხელმძღვანელობდა სასოფლო-სამეურნეო ინს-

ტიტუტის გუნდს. მისი აღზრდილები არიან ცნობილი მომღერლები და ლოტბარები: ჯოკია მეშველიანი, ოთარ ქოქოსაძე და სხვები.

ნოკო ხურცია მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ხალხური სიმღერების ჩანაწერების გაკეთებას, რის შედეგად მართლაც ფასდაუდებელი განძი დაგვიტოვა. ამ მიზნით მან ჩამოაყალიბა ტრიო, რომლის შემადგენლობაშიც მასთან ერთად შედიოდნენ მისი ძმა, პარმენი და ვალერიან სვანიძე. მათი შესრულებით შემოგვრჩა მრავალი სიმღერა, რომლებიც გრიგოლ კოკელაძემ და გრიგოლ ჩხიკვაძემ ჩაიწერეს. მათ შორისაა: „უტუს ლამქრული“, „ოდოია“, „ჰარირა“, „აბა დარუჯან“. აბაშის გუნდთან მუშაობისას ნოკო ხურციას რამდენიმე საკუთარი სიმღერაც შეუქმნია: „სიმღერა შრომის გმირზე“, „სიმღერა კოლხიდაზე“, „სიმღერა სამშობლოზე“ და სხვა.



ნოკო ხურცია

ქართული ჰანგის ოსტატი ძალიან განიცდიდა სიმღერის დამახინჯების ფაქტებს. როდესაც ტრამვაიში თავის სტუდენტებს შეესწრო, რომლებიც მის წინაშე სიმღერით თავს იწონებდნენ და „მგზავრული“ წამოიწყეს, ნოკომ უკმაყოფილო რეაქცია მეორე დღეს, რეპეტიციაზე, შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ნუ-

რასოდეს იმდერებთ სიმღერას, რომელიც არ იცით. ისწავლეთ და შემდეგ იმდერეთ. ქართული ხალხური სიმღერა ორგანიზმივით მთლიანია და თვითმყოფადი, ყოველ სიმღერას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი თავისებურება აქვს. ამის უგულვებელყოფა არა მარტო შეცდომაა, არამედ დანაშაულიც“.

ნოკო ხურცია 1949 წელს, საკმაოდ ახალგაზრდა, 44 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ბოლო სიმღერა „მეგრული ღიღინი“ იყო. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა ვაკის პანთეონში.

*ნოკო ხურციას განუმეორებელი ტალანტის შესახებ ცნობილი ადამიანების უამრავი მოგონება შემოგვჩა. გთავაზობთ ამონარიდებს რამდენიმე მათგანიდან:*

**ჯანსუღ კახიძე:** „ქართული სიმღერის - ამ უნიკალური ფენომენის ჯადოქარი გახლდათ ნოკო ხურცია... მისი ნამღერი და შეთხზული მხოლოდ საოცრებას შეიძლება შეადარო და იგი უკვდავი იქნება მარად, როგორც თვით ხალხური სიმღერა“.

**ანზორ კავსაძე:** „მსმენელს აღაფრთოვანებდა ნოკო ხურციას ტემპერამენტი, სიხალისით და სიხარულით ფრთაშესხმული სიმღერა... დიდი გუნდის ფონზე საყვირივით ისმოდა მისი წკრიალა ზარისებური ხმა „ჰარირაში“. ნოკო ხურცია საშემსრულებლო ტექნიკის, ხმის ვირტუოზული ფლობის შესანიშნავი ნიმუშია“.

**ვაჟა აზარაშვილი:** „როცა თავის მიერ ჩამოყალიბებულ გუნდებს ასწავლიდა სხვადასხვა კუთხის სიმღერებს, გულდასმით, მკაცრად იცავდა ამ მხარისთვის დამახასიათებელ კილოკავს. თავისი შესრულების დროს კი ზოგჯერ თავს უფლებას აძლევდა, თავისებური ინტერპრეტაციით განუმეორებელი სურნელი, ხიბლი, სილამაზე შეეტანა სიმღერაში, გაემდიდრებინა თავისებური ორნამენტით, კოლოტირით, ისე, რომ თავდაპირველი ქარგა არ დაერღვია... მისი სახით

ქართულ ხალხურ სასიმღერო კულტურას ჰყავდა უზადლო შემსრულებელი, დიდი ხელოვანი, რომლის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ხელოვნების საგანძურში“.

**ანზორ ერქომაიშვილი:** „მის ხმას ჰქონდა საოცარი თვისებები: იშვიათი სითბო და ფერადოვნება, ფართო დიაპაზონი, მოქნილობა, ვირტუოზული ტექნიკა და განუმეორებელი სასიმღერო მანერა... მას შეუძლია სულში ჩაგიძვრეს, ერთიანად შეგძრას, დაგავიწყოს ყოველგვარი უბედურება, დაგატკბოს სიმღერის მაღლით და გადმოსცეს შენი ხალხის სული და ხასიათი... ნოდარ ღუმბაძე ამბობდა: „ღმერთებს ნოკო ხელში აყვანილი მიჰყავდათ და, ჩვენდა სასიხარულოდ, საქართველოში ჩამოუვარდათ“...

*დამუშავებულია ანანო ხიჯაკაძის მიერ წიგნიდან: „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“. სამეგრელო (ტ.2). თბილისი, 2005*

*წერილები არქივიდან*

## ქართული გალობის მდგომარეობა (ნაწილი I)

ქართული საეკლესიო გალობა და ღაღაღება თუმცა, დიდი ხანია, შემცირდა და ზოგან სრულიადაც მოისპო იგი ქართველთა ეკლესიებში, მაგრამ ვისაც კი შერჩა ჩვენი გალობის ცოდნა და ხსოვნა, ეს გალობა დღემდე წმინდად და შეუბღალავად არის დაცული. წინანდელ დროში ქართული გალობა ყველგან გავრცელებული იყო და მისი სწავლის მსურველებიც ბევრნი იყვნენ. უმეტეს ნაწილად გალობის სწავლას ეტანებოდნენ სამღვდელთა და თავადაზნაურთა ოჯახები, ორივე სქესისა. იმ დროს კარგს და დახელოვნებულ მგალობლებს

დიდ პატივსა სცემდენ. ამასთან, მათ ჰქონდათ კარგი შემოსავალი, ჯამაგირი და საჩუქრებიც ეძლეოდათ; მაგრამ ეს პატივი და დიდება დროთა გარემოებამ ჩამოართვა მათ, რაისა გამო, იმათაც გული აიცრუეს ქართულ გალობაზე. მოსწავლეთა რიცხვი თანდათან შემცირდა და გალობის სწავლაც მოისპო. ამ დიდ მნიშვნელოვან მამა-პაპულ განძის და ეკლესიათ განმაბრწყინვალელების ცუდი მდგომარეობა იგრძნო ქართველთა სამღვდელოებამ და განიზრახა, რომ რაიმე გზით კვლავ აღედგინა ქართული საეკლესიო გალობა. ამ მიზნით თბილისში შესდგა კომიტეტი, გასინჯეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები, დარწმუნდნენ მათ სიკარგეში და შეუდგნენ თავიანთი განზრახვის განხორციელებას, მაგრამ მოუხერხებლობისა გამო, მათმა სურვილმა ვერ მიაღწია დანიშნულ მიზანს და თავი მიანებეს ამ საქმის წარმოებას. ეს გარემოება ვაცნობეთ იმერეთის სამღვდელოებას, რომელსაც უკვე მოსმენილი და შეგნებული ჰქონდა ნოტებზე გადაღებული მთელი წირვის გალობა და მიუცილებელ საჭიროდ რაცხდა სრულ საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. შესდგა სამღვდლოთა კრება ქუთაისში... დამაწერინეს 400 ნაჭერი სხვადასხვა საგალობელთა, რომელნიც ჩავაბარე ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოსს გაბრიელს. დეკანოზი ღამბაშიძე ბევრს ეცადა, რომ ეს საგალობლები დაბეჭდილიყო ან თბილისში და ან რუსეთში. დავეკითხეთ ნოტის მბეჭდავთ, მაგრამ ძლიერ ძვირად ჯდებოდა ამ საგალობელთა დაბეჭდვა: 6000-7000 მანეთამდის გვთხოვეს და გარდა ამისა, კორექტორიც თან უნდა გაჰყოლოდა დასაბეჭდს. ამ მეტისმეტი სიძვირის გამო ნოტებზე გადაღებული საგალობელნი დარჩნენ დაუსტამბავად. 1890 წელს ჩამოვედი თბილისის საცხოვრებლად.

აქ გავიცანი ერთი პატარა წრე ღარიბ მოხელე მოჯამაგირეთა. ამ წრემ, ჩემის

ხელმძღვანელობით მოკლე დროში შევნიერად შეისწავლა ნოტების კითხვა. მათ იწყეს ნოტებით გალობა და ისე შეუყვარდათ იგი, რომ უკვე დაწერილი 400 საგალობელი სცნეს არასაკმარისად საეკლესიო მოთხოვნილებებისათვის. შეჰკრიბეს თავისი წვლილი, ზოგი შემოწირულებაც გაუჩნდა ამ კეთილ საქმეს, მომცეს ცოტაოდენი საშუალება, წავედი გურიაში ცნობილს მგალობელ ანტონ დუმბაძესთან, და ორი წლის განმავლობაში დავსწერე სრული მთელი წლის საგალობლები თავიანთ რვა ხმით (ოკტოიხი) და მრავალი ჭრელებით; ასე რომ, ჩვენი საეკლესიო გალობა სრულად არის ახლა დაწერილი. ამ პატარა წრემ, რომელიც ახლა შესდგება ოთხი ამხანაგისაგან, გამოიწერა ნოტის ნიშნები და მათი საჭირო მასალები. ჩემი თვალყურის დევნით და კორექტორობით დაიბეჭდა ერთი მდიდრული ლიტურდია იოანე ოქროპირისა მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის.



ფილიმონ ქორიძე

ვამბობ „მდიდრული“ იმისათვის, რომ წიგნი შეიცავს 174 გვერდს და მოთავსებულია შიგ სამ-სამი, ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი სხვადასხვანაირი საგალობლები ერთი და იგივე გალობისა: ესე იგი, „რომელი ქერაბინთა“ ხუთნაირია, „წმიდაო

ღმერთო“ ხუთნაირია, „მოვედით თაყვანი ვსცეთ“ – ოთხნაირი, „უფალო შეგვიწყალო“ – თექვსმეტნაირი, მღვდელმთავრის შემოსვლის დროს – სამნაირი და სხვ. ეს წიგნი ღირს ერთ მანეთი. დარწმუნებული ვართ, რომ იმერეთის და სამეგრელოს სამღვდლოება, როგორც ამ საქმის დაწყებაში გამოიჩინა მან დიდი სურვილი საგალობელთა ნოტებზე გადაღების შესახებ, ისეთივე სურვილს და დახმარებას გამოიჩინეს ახლაც ამ საქმის განსახორციელებლად. აი, რაში მდგომარეობს ეს დახმარება: ეკლესიისათვის გამოიწერენ თითო წიგნს, რომელიც იმდენად იაფია, რომ მისი ხარჯი არავის არ შეაწუხებს. თავისი ქადაგებით, რჩევითა და მზრუნველობით გაავრცელებს მის სწავლას სასწავლებლებში, სამრევლო სკოლებში, ეკლესიების მსახურთა შორის და სამწყსოთა შორისაც, რომ ეს ნოტები ადვილად შეისწავლონ მსურველთა. ამისათვის მე გამოვეცი სახელმძღვანელო, რომელიც ძლიერ მარტივად და ადვილ გასაგებად არის შედგენილი ქართულს ენაზედ. ვინც ამ სახელმძღვანელოს რიგიანად შეისწავლის, იგი ადვილად შეიძლებს ნოტების კითხვას, ნოტებით გალობას და ლოტბარობასაც. წიგნების ფასი მოგვცემს საშუალებას ვბეჭდოთ შემდეგი წიგნებიც და ამგვარად, ჩვენი გალობა გავრცელდება და ეკლესიებში მიიზიდავს მართლმორწმუნეთ, რომელთაც შთაუწერგავს გულში და სულში სჯულისა და კაცობრიობის სიყვარულს და განამტკიცებს მათში სარწმუნოებას.

#### **ფილიმონ ქორიძე**

*გაზეთი „მწყემსი“, 1896, 15 მაისი, №9,*

*აღებულია წიგნიდან*

*„ქართული გალობის ქრონიკა*

*1861-1921 წლების პერიოდიკაში“*

*(შემდგ. დ. შულღიაშვილი. თბილისი, 2015)*

## **ერთი ხალხური საკრავი**

### **თარი**

**თარი** საქართველოში გავრცელებული, ჩამოსაკრავი სიმებიანი ინსტრუმენტი. მისი წარმოშობის ზუსტი ადგილი უცნობია, თუმცა, მკვლევართა უმრავლესობა თარის სამშობლოდ სპარსეთს მიიჩნევს. საქართველოს გარდა, გავრცელებულია აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქმენეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ავღანეთში, ერაყში, ირანში. განსაკუთრებით პოპულარულია აზერბაიჯანში. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთ-ერთ საბაზისო ინსტრუმენტს წარმოადგენს აქაურ ტრადიციულ მუსიკაში, განსაკუთრებით კი ციკლურ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებებში - მულამებში, რომლებშიც თარს და სოლისტ-მომღერალს გადამწყვეტი როლი აქვთ. თარი ძალიან პოპულარული იყო ხალხურ პროფესიულ ანსამბლ - საზანდარშიც, სადაც ის ხშირად ხემიან ქემანჩასთან ერთად უკრავდა. გარდა ამისა, თარმა სერიოზული გავლენა მოახდინა აზერბაიჯანულ კლასიკურ მუსიკაზეც. მისთვის საგანგებოდ იწერება მუსიკალური ნაწარმოები. XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანულ მუსიკაში ფართო გავრცელება ჰპოვა „მულამური ოპერის“ ჟანრმა, რომელშიც ვოკალური პარტიები თარის თანხლებით სრულდება. აზერბაიჯანელმა კომპოზიტორებმა შექმნეს ასევე რიგი მსხვილი ნაწარმოებისა, მათ შორის, კონცერტები თარისთვის და სიმფონიური ორკესტრისათვის. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს თარზე შესრულების აზერბაიჯანული ოსტატობა შეტანილ იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებათა ნუსხაში.

თარი ყელ-მუცლიანი საკრავია. მას გრძელი ყელი (ტარი) და ხის მუცელი (კორპუსი) აქვს. გრძელ, ფარდებიან ყელს თავში ყუთი აქვს გაკეთებული, რომელშიც სიმების დამჭერ-მოსამართი მოქლონებია ჩამაგრებუ-

ლი, ტარის ბოლო ნაწილი კი მუცელშია ჩასმული, რომელსაც ჩანახი ეწოდება. ყელზე ნაწლავისაგან დამზადებული სიმებია გაბმული, რომელთაც ჩანახის ქვედა ნაწილში ჯორა აქვთ შედგმული. თარის იმ ნაწილს, რომელზეც სიმებია მიბმული, ხარაკი ეწოდება.

საკრავის კორპუსი რვიანის ფორმისაა, ანუ ორი მრგვალი ნაწილისგან შედგება, რომელთაგანაც ერთი, ზედა, მომცროა, მეორე კი, ქვედა - უფრო მოზრდილი და წაგრძელებული. თარი მზადდება თუთის ხისაგან: პატარა ზომის თარები - მთლიანი ხისაგან, დიდი ზომისა - ორი ცალკეული ნაწილისაგან. ზედა მხარეზე გადაკრულია მემბრანა (თევზის ბუშტი ან საქონლის გულის პერანგი).

ხშირად თარის კორპუსი, ყელი და თავი სადაფითა და ძვლით არის ინკრუსტირებული, სიმები კი ლითონისა და თითბრისაა. მათზე პლექტრით უკრავენ.



თარი

თარს ყელზე 11-დან 26-მდე საქცევი შეიძლება ჰქონდეს, რომლებიც სამად იყოფა და თითოეულს თავისი სახელი გააჩნია. სიმების რაოდენობა 5-დან 14-მდე მერყეობს. უმთავრესად, აქვს სამი წყვილი (ან 3 წყვილი და 1 კენტი) ძირითადი სიმი და 2 წყვილი ბურდონული სიმი. დაკვრის დროს საკრავი შემსრულებელს მუხლებზე უდევს, გულთან აქვს მიბჯენილი და ბგერის ვიბრირების მიზნით, დროდადრო არხევს. თარს საკმაოდ ძლიერი ბგერა და მდიდარი საშემსრულებლო შესაძ-

ლებლობები აქვს. მასზე სრულდება რთული მელოდიები სხვადასხვა რეგისტრში და სხვადასხვა ტემპში; დაბალ რეგისტრში ტემბრი რბილი და ხავერდოვანია. თარის მომართვა სხვადასხვანაირად ხდება, რაც დამოკიდებულია შესასრულებელი ნაწარმოების ხასიათზე. სიმების მომართვა ხდება წყვილ-წყვილად.

საქართველოში თარი ანუ ჩასტა (როგორც მას ჩვენში უწოდებდნენ) შემოვიდა XVIII ს-დან, აღმოსავლურ ინსტრუმენტულ ანსამბლ საზანდართან ერთად და განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა აზერბაიჯანულ (თათრულ) მოსახლეობაში.

თარმა თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა, ასევე, მაჰმადიან მეფეთა კარზე. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ქართველი თავად-აზნაურობა ხარბად დაეწაფა აღმოსავლურ კულტურას. სოლო შესრულების გარდა, ხშირად თარი შედიოდა დასტის შემადგენლობაში, დიპლიპიტოსთან, ჭიანურთან და დაირასთან ერთად, რასაც დიდი წარმატება ჰქონდა ქორწილებსა და დღეობებში. ამგვარად, თარი ღრმად შეიჭრა ქართველთა ყოფაში და ფანდურთან ერთად ოჯახური მუზიკირების შემადგენელი ნაწილი გახდა.

საქართველოში გავრცელებული იყო ორი სახის - სპარსული და აზერბაიჯანული თარი. სპარსულ თარს 6 სიმი ჰქონდა, ხოლო აზერბაიჯანულს - 12-15-მდე. ამჟამად ჩვენში აზერბაიჯანული თარია შემორჩენილი, თუმცა, ისიც სამუზეუმო ექსპონატადაა ქცეული.

*მასალა მომზადებულია მაკა ხარძიანის მიერ დ. ალავედიძისა და მ. შილაკაძის ნაშრომებზე დაყრდნობით*

## გიორგობის დღესასწაული საქართველოში და მასთან დაკავშირებული მუსიკა

წმიდა გიორგი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი წმინდანია. ისტორიული წყაროების მიხედვით, წმინდა გიორგის ერთ-ერთი პირველი ეკლესია მეფე მირიანმა IV საუკუნეში ააშენა თხოთის მთაზე. საქართველოში წმ. გიორგის ბარელიეფები და ყველაზე ადრეული ფრესკები მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებით თარიღდება, ხოლო წმინდანის ცხოვრების ამსახველი ქართული გამოცემები - მეექვსე საუკუნის შუა ხანებით. ცნობილია, რომ წმიდა გიორგი აწამეს დიოკლეთიანეს დროს. აქედან გამომდინარე, მიიჩნევა, რომ ქართულ ეკლესიაში ამ პერიოდიდან შემოვიდა წმინდა გიორგის კულტი, აგრეთვე მისი, როგორც მეზრძოლისა და მხედრის გამოსახულებები. მეცხრე საუკუნის დასაწყისიდან წმინდა გიორგი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ ქართველ მეფეებს მისი სახელი მიენიჭათ. ცნობილია, რომ მართლმადიდებლური სამყარო გიორგობის დღესასწაულს 6 მაისს აღნიშნავს. თუმცა, საქართველოში წმინდა დიდმოწამის ბორბალზე წამების დღეც აღინიშნება 23 ნოემბერს.

წმინდა გიორგი საქართველოს მფარველად ითვლება. საქართველოში წმინდა გიორგის იმდენი ეკლესიაა, შეიძლება ითქვას, რომ აქ ყოველი დღე ეძღვნება ამ წმინდანს. არ არსებობს კუთხე, სადაც წმინდა გიორგის განსაკუთრებით არ სცემენ პატივს. ისტორიული წყაროები გვამცნობენ, რომ წმინდა გიორგი არაერთ ბრძოლაში ხილულად იბრძოდა ქართველთა მხარეს.

საქართველოში წმინდა გიორგის უკავშირდება როგორც საეკლესიო, ისე საერო ტრადიციები. მისდამი მიძღვნილ ორივე დღესას-

წაულზე ეკლესიებში აღესრულება წირვა-ლოცვა და სრულდება წმინდა გიორგის ტროპარი „ტყვეთა განმათავისუფლებელო“, რომელიც დაცულია სამი სამგალობლო სკოლის - სვეტიცხოვლის, გელათის და შემოქმედის ვარიანტების სახით.

რაც შეეხება საერო ტრადიციას, აღმოსავლეთ საქართველოს მთასა (თუშეთი, ხევსურეთი, ხევი) და ბარში (ქართლ-კახეთი) დაფიქსირებულია რიტუალური ფერხულები, რომლებიც სრულდება ეკლესიის გარშემო, სოფელში, ხალხის თავშეყრის ადგილებში ან კარდაკარ სიარულის დროს. გარდა ამისა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში წმინდა გიორგის დახმარებას სთხოვენ ამინდის რიტუალების დროს, ადიდებენ სუფრულ და საგმირო სიმღერებში; სამონადირეო ეპოსში მოთხრობილია ისტორიები მის შესახებ.

წმინდა გიორგის სალოცავები განსაკუთრებით მრავლად არის აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში - გუდამაყარში, მთიულეთში, ხევსა და ხევსურეთში.

მთიულეთის ერთ-ერთი უძველესი სალოცავია ლომისის წმინდა გიორგის ეკლესია. (ლომისობის შესახებ იხ. ბიულეტენი #29). ამ სალოცავს უკავშირდება სიმღერა „ლომისური“.



ილორის წმინდა გიორგის ხატი



მოხევურ სიმღერაში „დიდება“ ღმერთის შემდეგ განდიდებულია წმინდა გიორგი და ბეთლემი (წმინდა მღვიმე ყაზბეგის მთაზე);

ხევსურეთის ერთ-ერთი მთავარი სალოცავი ხახმატის წმინდა გიორგია. მის დღესასწაულზე ასრულებენ „ფერხისულს“, რომელიც ორი სოლისტის მიერ გაბმული ბანის ფონზე იმღერება. XX საუკუნის ბოლოს ხევსურები ასრულებდნენ გმირულ-ეპიკურ სიმღერებს, რომელთა ტექსტიც ხახმატის წმინდა გიორგის ბრძოლაზე მოგვითხრობდა ქაჯების წინააღმდეგ. ასეთი სიმღერები სრულდებოდა დაჩოქილ მდგომარეობაში, ფანდურის აკომპანიმენტით, ეკლესიის კარებში.

ფშავში, თუშეთსა და ერწო-თიანეთში წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ მთავარ დღესასწაულს ლაშარობას უწოდებდნენ. აქ ლაშარის წმინდა გიორგი ითვლებოდა მებრძოლ ღვთაებად, წმინდა მხედრად, რომელსაც შესთხოვდნენ მოსავლიანობას, ხალხის კეთილდღეობას და სწეულებებისაგან დაცვას. ფშავში ხვეისბერი წმინდა გიორგის ცხენს ქერს უყრიდა საკურთხეველში. ლეგენდის თანახმად, ლაშარის სალოცავის წმინდა მუხა ცაზე ოქროს ჯაჭვით იყო მიბმული, რომლითაც წმინდა გიორგი ზეცად ამაღლდა.

თუშეთში ლაშარობა აღინიშნება 19-20 ივლისს, ერწო-თიანეთში კი აღდგომიდან მეცხრე კვირის ხუთშაბათის საღამოს იწყება და შაბათის დილაზე გრძელდება (ლაშარობის შესახებ იხ. ბიულეტენი #27). ამ დღესასწაულზე სრულდება ორსართულიანი ფერხული „ქორბელეა“ და „ლაშარის სიმღერა“.

ქართლის სოფელ გერში (ცხინვალის რაიონი), ლიახვის ხეობაში, მდებარეობს წმინდა გიორგის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სალოცავი, რომელსაც შესთხოვდნენ ოჯახებისა და პირუტყვის დაცვას. გარდა ამისა, აქ მოჰყავდათ ეპილეფსიით, ფსიქიური აშლილობით დაავადებულები და ყრუ-მუნჯები.

გერში ქართველებთან ერთად ოსებიც ღოცულობდნენ. გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართველმა კომპოზიტორებმა დიმიტრი არაყიშვილმა და ვიქტორ დოლიძემ აქ ჩაწერეს ვასტირჯის (წმინდა გიორგის ოსური სახელი) სიმღერები.

კახეთში, ალავერდში, წმინდა გიორგის ეკლესიაში, მუსულმანები ქრისტიანებთან ერთად დადიოდნენ სალოცავად. იგივე ხდებოდა კახის რაიონში, წმინდა გიორგის ქურმუხის ეკლესიაში, რომელიც დღემდე ძლიერ სალოცავად ითვლება. არანაკლებ ძლიერი იყო აწყურის თეთრი გიორგის ეკლესია ალავერდთან. ხალხი ალავერდსა და თეთრ გიორგის ძმებად მიიჩნევდა.



ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარი

კახურ მუსიკალურ ნიმუშებს შორის უნდა აღინიშნოს ყვარლის რაიონის სოფლებში ჩაწერილი „ღვთის კარზე სათქმელი იავნანა“. მისი შემსრულებლები არიან თერებში გამოწყობილი ქალები, რომლებიც ნელა დადიან ეკლესიის გარშემო და მღერიან ანთებული სანთლებით ხელში. რიტუალში ხალხიც მონაწილეობს, ის ბანს აძლევს სოლისტებს, რომლებიც მონაცვლეობით ახსენებენ წმინდა გიორგის, ღვთისმშობელს, ქრისტეს, წმიდა ნინოს, წმიდა ქეთევანს და სხვა წმინდანებს და ევედრებიან ქვეყნის მშვიდობასა და კეთილდღეობას. თითოეული ფრაზა მთავრდება სიტყვით „მრავალჟამიერ“ და პირჯვრის წერით.

ამ რეგიონში სიმღერა „დიდების“ ორ ან სამხმიან ვარიანტებს მღეროდნენ წმინდა გიორგის დღესასწაულებზე. გაზაფხულზე ფეხშიშველი ქალები „დიდების“ მღერით გადადიოდნენ ერთი მოსახლიდან მეორესთან, შედიოდნენ ეზოებში, აბამდნენ ფერხულს და მდიდარ მოსავალს შესთხოვდნენ წმინდა გიორგის. ხალხის აზრით, ვინც „დიდებას“ არ შეუერთდებოდა, სიუხვე არ ექნებოდა. მასპინძლების მიერ შეწირული საკვებს კალათში აგროვებდნენ და ღარიბებს ურიგებდნენ, ან სუფრას აწყობდნენ და ყველა ერთად აწყობდა წვეულებას.



მესტიის რაიონის სოფელ ნაკიფარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია

დასავლეთ საქართველოში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრია აფხაზეთში, ოჩამჩირის მახლობლად, სოფელ ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, სადაც დაცულია წმინდანის ერთი მეტრის სიგრძის ლითონის მშვილდი. გიორგობა ილორში ნოემბერში აღინიშნებოდა. აქ ხალხი ჩამოდიოდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ჩამოჰქონდა: აბრეშუმის ქსოვილები, სანთლები, სამკაულები, ფული, ხარი, ცხვარი და თხა მსხვერპლის შესაწირად და ა.შ. ყოველწლიურად აქ ხუთი დარაჯი ირჩეოდა, რომელთაგან უფროსი იყო ლიდერი, დანარჩენები - დამხმარეები. დარაჯები ერთმანეთს ცვლიდნენ მთელი წლის განმავლობაში, არასდროს ტოვებდნენ ეკლესიას და რიგრიგობით

ემსახურებოდნენ მომლოცველებს: იღებდნენ შესაწირს, ასრულებდნენ მსხვერპლშეწირვას, მკურნალობდნენ ავადმყოფებს, წყევლიდნენ დამნაშავეებს და ა.შ. აქ ხშირად მოჰყავდათ გონებრივად ჩამორჩენილები, რომლებსაც ხელებს ჯაჭვით უბამდნენ, აყენებდნენ ეკლესიის კარის წინ, სამჯერ შემოატარებდნენ ტაძრის გარშემო, თან ევედრებოდნენ წმინდანს, რომ მოერჩინა ავადმყოფი. შემდეგ ტაძარში შეჰყავდათ, რათა მუხლი მოედრიკა ილორის წმინდა გიორგის ხატის წინაშე და ელოცათ მისი გამოჯანმრთელებისთვის. უშვილო ოჯახები და მეხდაცემულები ასევე მიმართავდნენ ილორს და სპეციალურ რიტუალებს ასრულებდნენ. ეს ეკლესია განთქმული იყო თავისი სასწაულებით; ერთ-ერთი მათგანი იყო რწმენა, რომ წმინდა გიორგის თავად მიჰყავდა ხარი ეკლესიის გალავნისკენ და ესალმებოდა სალოცავთან მისულ ხალხს. ამიტომ აქ დაკლული ხარის ხორცს წვრილად ჭრიდნენ და ხალხს ურიგებდნენ. ითვლებოდა, რომ ამ ხორცს სამკურნალო თვისებები ჰქონდა ნებისმიერი დაავადების წინააღმდეგ. დიდებულები სამეგრელოდან, სვანეთიდან და გურიიდან მსახურებს გზავნიდნენ ილორში შეწირული ხარის წმინდა ნაწილების წამოსაღებად.

სამეგრელოში მიიჩნეოდა, რომ ჭექა-ქუხილის დროს თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრად შემოსილი წმინდა გიორგი ზოროტ სულებს დასდევდა და ისრებს ესროდა.

სვანეთში წმინდა გიორგი (ჯგრაგი) ცხოველთა მფარველადაც ითვლებოდა. ლეგენდების თანახმად, ამ წმინდანს ეკუთვნოდა ცხოველების ჯოგები და მის გარეშე მონადირე ვერაფერს მოკლავდა. ნადირთღვთაება დალიც კი წმინდა გიორგის ემორჩილებოდა. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ჩაწერილი ვრცელი ლექსები („ხოჩა მეთხვიარ ჩორლა“ და „ქალა“) გვიჩვენებს, თუ როგორ ათავისუფლებს და აკურთხებს იგი დალის მიერ დაჭერილ და დასჯილ მონადირეს. ამ მაგალი-

თებში მკვლევარები აკვირდებიან სვანების წინაქრისტიანული და ქრისტიანული აზროვნების თავისებურებებს, ქალღმერთის ძალის შესუსტებას და ქრისტიანი წმინდანის განმტკიცებას - წმინდა გიორგის როლს. აღსანიშნავია, რომ ეს ტექსტები საფუძვლად ედო რიტუალურ ფერხულებს.

წმინდა გიორგის კულტთან დაკავშირებული ქართული ხალხური მუსიკალური მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ საქმე გვაქვს ტრადიციული მუსიკის შესრულების სინკრეტულ ფორმებთან, კერძოდ, რიტუალურ ფერხულებთან, რომელთა მიზანიც წმინდანის განდიდება და წყალობის ვედრებაა. მამაკაცისა და ქალის რეპერტუარის ზემოხსენებული ყველა მაგალითი ხასიათდება ხმამაღალი, მძიმე და, ამასთანავე, საზეიმო, საგალობლის მსგავსი ჟღერადობით. თუმცა, მათი შესრულების მანერის განხილვა შესაძლებე-

ლია მხოლოდ ცოცხალი შესრულების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილმა ზოგიერთმა სიმღერამ (მთიულურმა „ლომისური“, სვანურმა „ჯგრაგ“, მოხეურმა „დიდება“) გადალახა საკულტორიტუალური ჟანრის საზღვრები და ამჟამად მათი შესრულება ტრადიციად იქცა ქორწილში და სადღესასწაულო წვეულებებზე.

**ნინო ღამბაშიძე**

*ეთნოლოგი*

**ნინო მახარაძე**

*ეთნომუსიკოლოგი*

**გთავაზობთ წმინდა გიორგის  
სადიდებელ სვანურ საკულტო-რიტუალურ  
სიმღერას „ჯგრაგიშ“**

ჯგრაგიშ  
Jgragish

ჯგ - ი - რა - გი - ეე - ჰა ლა - ი - გვი - უო -  
 Jg - i - ra - gi - ie - ha la - i - gvi - uo -

შე - ი - ვო - და ი ha i ha i uo  
 she - i - vo - da i ha i ha i uo

ი ჰო ha i ha i a vo da  
 i ho ha i ha i a vo da

ი ha i ha i la - i - gvi - ui -  
 i ha i ha i la - i - gvi - ui -

შე - ნ - ვო - და      ი      ჰა      ი ჰა ი

she - i - vo - da      i      ha      i ha i

უო      ი ჰე      ჰა ი      ჰა      ი ა

უო      ი ჰე      ო      ჰა ი      ჰა      ი ა

uo      i he      ha i      ha      i a

ვო      და      ი      ჰა      ი ჰა ი      უო

ვო      და      ი      ჰა      ი ჰა ი      უო

vo      da      i      ha      i ha i      uo

დი - დაბ აჯ - ხად      ჯგ - რაგ სი ლა      გვეშ - დი - უო.

დი - დაბ აჯ - ხად      ჯგ - რაგ სი ლა      გვეშ - დი - უო.

di - dab aj - khad      jg - rag si la - gvesh - di - uo.

რედაქტორი:

მაკა ხარძიანი

*ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
ტმკსც-ის სპეციალისტი*

მთარგმნელი:

მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მაკა ხარძიანი

ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2021

eISSN–1512 – 228X

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. თბილისი, 0108,  
გრიბოედოვის ქ. #8/10

ტელ. (+995 32) 2998953

E-mail: [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge)

[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)

[www.symposium.polyphony.ge](http://www.symposium.polyphony.ge)

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2021 წლის დეკემბერში